№ 186 მთავრობის მოამბე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, აგვისტოს 19 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ. გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

განცხადება.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებისათვის საჭირო არის მოხარშული ზეთი (ოლოფა) 1000 ფუთამდე.

შეკვნილი იქნება ნაღდ ანგარიშზედ.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სამასალო ნაწილში დილის 8-2 საათამდე, ნიმუშების წარმოდგენით. 2282 3—2

ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას აგვისტოს 29-ს ამა წელს ზესტაფონში საკრებულო დარბაზში, დილის 10 საათზე დანიშნულია წევრთა

არაჩვეულებრივი საზოგად კრება.

განსახილველი:

1. საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქციონერულ ბანკად გადაკეთება.
2. ბინის საკითხი.
3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა.
4. მიმდინარე საკითხები.

თუ 29 მარიობისთვეს კრება არ შესდგა მეორე კრება მოხდება კვირას ამა წლის 5 სექტემბერს.

2327 1—1 **გამგეობა.**

მთავარი საინჟენრო საწყობი ამით აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 2 ენკენისთვეს დიდუბიდან არსენალში მანქანის ნაწილების გადასატანად (3.000 ფუთი) დანიშნულია

იჯარით აღების საჯარო შეჯიბრება

რომელიც მოხდება საინჟენერო საწყობის სამწერლოში დილის 11 საათზე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ გარდა პირადობის მოწმობისა 20 პროც. განცხადებულ ფასისა. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე საინჟენერო საწყობის სამწერლოში (არსენალი). 2322 1—1

აღბულაღის სატყეო სამმართველო აცხადებს, რომ

1920 წ. სექტემბრის 5-ს დღის 12 საათზედ აღბულაღის სატყეო სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საშეშე და სანახშირე ტყეზე საგინოვის ყოფილ ტყიან მამულში რაოდენობით 5 დესეტინა, ანგარიშით 120,5 კუბ. საჟენი და შეფასებული 54,337 მანეთი და 20 კაპ. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება აღბულაღის სატყეო სამმართველოში. 846 3—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზებისთვის

საჭიროა 1000 ფუთამდე კარტოფილის (სტეარინის ან პარაფინის) **სანთელი** ოთხ ცალიანი რკინის გზების ტიპისა. მიიღება მცირე პარტიებიც ნაღდ ფულზე. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მოსალაპარაკებლათ რკინის გზების სამმართველოში სამასალო განყოფილების უფროსს დილის 8—2 სამთამდე, საჭიროა ნიმუშების წარმოდგენა.

787 3—3

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

აფხაზეთის სასოფლო მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. გაცემულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ამ დეკრეტთან დართული აფხაზეთის სასოფლო მილიციის შტატი და ხარჯთაღრიცავა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული აფხაზეთის სასოფლო მილიციის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე ხუთი მილიონი სამას ოცდა სამი ათასი ხუთასი (5.323.500) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

შტატი და ხარჯთაღრიცხვა

აფხაზეთის სასოფლო მილიციისა 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და ხარჯის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვითეულს თვეში.	ყველას თვეში.	ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან. ივნისის 1-დე.
	I. ჭ. სოხუმის მაზრის სოფლის საზოგ მილიცია.				
1	სოფლის მილიციის უფროსი	7	1600	11200	56000
2	საქმის მწარმოებელი	7	1300	9100	45500
3	მილიციონერი	35	1200	42000	110000
4	შიკრიკი	7	800	5600	28000
5	გათბობა-განათება	—	200	1400	7000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	200	1400	7000
7	საფოსტო ხარჯი	—	200	1400	7000
8	ბინის ქირა	—	200	1400	7000
	ჯამი	56	5700	73500	367500
	II. გუმისტის მაზრის სოფლის მილიცია.				
1	სოფლის მილიციის უფროსი	19	1600	30400	152000
2	საქმის მწარმოებელი	19	1300	24700	123000
3	მილიციონერი	93	1200	11600	558000
4	შიკრიკი	19	800	15200	76000
5	გათბობა-განათება	—	200	3800	19000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	200	3800	19000
7	საფოსტო ხარჯი	—	200	3800	19000
8	ბინის ქირა	—	200	3800	19000
	ჯამი	150	5700	197100	985500
	III. კოდორის მაზრის სოფლის მილიცია.				
1	სოფლის მილიციის უფროსი	18	1600	28800	144000
2	საქმის მწარმოებელი	18	1300	23400	117000
3	მილიციონერი	89	1200	106800	534000
4	შიკრიკი	18	800	14400	72000
5	გათბობა-განათება	—	200	3600	18000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	200	3600	18000
7	საფოსტო ხარჯი	—	200	3600	18000
8	ბინის ქირა	—	200	3600	18000
	ჯამი	143	5700	187800	939000
	IV. სამურზაყანოს მაზრ. სოფლის მილიცია.				
1	სოფლის მილიციის უფროსი	19	1600	30400	15200
2	საქმის მწარმოებელი	19	1300	24700	123500
3	მილიციონერი	92	1200	110400	552000
4	შიკრიკი	19	800	15200	76000
5	გათბობა-განათება	—	200	3800	19000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	200	3800	19000
7	საფოსტო ხარჯი	—	200	3800	19000
8	ბინის ქირა	—	200	3800	19000
	ჯამი	149	5700	195900	979500
	V. გუდაუთის მაზრის სოფლის მილიცია.				
1	სოფლის მილიციის უფროსი	21	1600	33600	168000
2	საქმის მწარმოებელი	21	1300	27300	136500
3	მილიციონერი	100	1200	120000	600000
4	შიკრიკი	21	800	16800	84000
5	გათბობა-განათება	—	200	4200	21000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	200	4200	21000
7	საფოსტო ხარჯი	—	200	4200	21000
8	ბინის ქირა	—	200	4200	21000
	ჯამი	163	5700	214500	1072500
	VI. გაგრის მაზრის სოფლის მილიცია.				
1	სოფლის მილიციის უფროსი	19	1600	30400	152000
2	საქმის მწარმოებელი	19	1300	24700	123500
3	მილიციონერი	92	1200	110400	552000
4	შიკრიკი	19	800	15200	76000
5	გათბობა-განათება	—	200	3800	19000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	200	3800	19000
7	საფოსტო ხარჯი	—	200	3800	19000
8	ბინის ქირა	—	200	3800	19000
	ჯამი	149	5700	195900	979500
		810	—	1064700	5323500

1920 წ. აგვისტოს 10-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

არა ოფიციალური განყოფილება

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

რუსეთის კეთილი განწყობილება გერმანიასთან.

სტამბოლი, აგვისტოს 12. „ორიენტ ნიუსი“ სწერს: ჩიჩერინმა დეპეშით წინადადება მისცა ბერლინში მყოფ საბჭოთა წარმომადგენელს: დაარწმუნეთ გერმანიის მთავრობა, რომ ჩვენ გერმანიის მიმართ არავითარი მტრული განზრახვები არა გვაქვს. საბჭოთა რუსეთი წინააღმდეგია დაპყრობითი პოლიტიკის და აღფრთოვანებს მას ზავისადმი სიყვარული.

ახალი ზარბაზანი.

ლონდონი, აგვისტოს 8. „ტაიმსი“ სწერს: შოფოლდში მოათავეს ახალი ზარბაზნის „სვერხ ბერტას“ კეთება. ზარბაზნის სიგრძე უდრის 80 ფუტს. ზარბაზანს ყუმბარა გააქვს 80 ინგლისურ მილზე.

დამნაშავეთა გაცემა.

ლონდონი. „დეილი ქრონიკლი“ სწერს: ბრიტანეთისა და გერმანიის ხელშეკრულება დამნაშავეთა გაცემის, საფოსტო დამოკიდებულებისა და ვალიუტის გაცვლის შესახებ კვლავ ძალაში შევიდა.

ქალაქთა უფლება

პრაგა, აგვისტოს 3. ჩეხო-სლოვაკიის კონსტიტუცია ქალებს ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას ანიჭებს.

ეკონომიური კრიზისი იტალიაში.

რომი, აგვისტოს 9. „კარიერი დე-ლა-სერა“ იუწყება: ინგლისში ცხოვრება გაძვირდა შედარებით ომის წინანდელ დროსთან $3^1/_2$ ჯერ, იტალიაში კი $6^1/_2$ ჯერ. ცხოვრების გაძვირებამ ნამეტურ უმაღლეს წერტილს მიაღწია ინგლისში მარტში და იტალიაში აპრილში. ამის შემდეგ ფასები თანდათან დაეცა. ივნისია ბოლო რიცხვებში ფასები 6% დაიწია, იტალიაში კი 10%. შემჩნეულია, რომ ინგლისში საქონლის ფასები კლებულობს. იტალიაში არ იაფდეა მადანი, ლითონი და მანუფაქტურა, სურსათი და პირველ მოთხოვნილების საგნები კი ძვირდება. საერთოდ ის საქონელი იაფდება იტალიაში, რომელიც უცხოეთში გააქვთ.

სიკვდილით დასჯა პოლონეთის ფრონტზე.

პარიზი, აგვისტოს 10. „ტანი“ იუწყება: გერმანელ—სოციალისტთა პრესა აქვეყნებს რუსეთის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს განკარგულებას, რომლის თანახმად პოლონეთის ფრონტზე უნდა გაძლიერდეს სიკვდილით დასჯა დეზერტირებისა და უფროსისადმი დაუმორჩილებლობისათვის. სიკვდილით დაისჯებიან შემდეგი დანაშაულებისათვის: სამსახურიდან გაქცევას, გაფუჭება ან სახელმწიფო ქონების გაყიდვის დეზერტირობას და დაუმორჩილებლობისათვის. ამ მიზნით უნდა გადახალისდეს და გაძლიერდეს სამხედრო „ჩრეზვიჩაიკები“.

13 ლაშქრის განადგურების მიზეზი.

სტამბოლი. აგვისტოს 10 „სტამბოლი“ იუწყება: ტროცკიმ პირადად გამოიძია საბჭოთა რუსეთის მე-13 ლაშქრის სამხრეთის ფრონტზე განადგურების მიზეზი. გამოძიების შემდეგ შესდგა სამხედრო სასამართლო, რომელმაც მთელ რიგ დამნაშავეებს და უმთავრესად ჯარის უფროსებს მიუსაჯა დახვრეტა. უფროსი ოფიცრები, რომლებიც ტყვეობას გადარჩნენ, სამსახურიდან გადააყენეს. (დ. ს.)

ამერიკის დამოუკიდებულების დღე.

პარიზი. აგვისტოს 1. საფრანგეთში დიდი ამბით იდღესასწაულეს ამერიკის დამოუკიდებლობის დღე. ფოშმა მისასალმებელ სიტყვაში სთქვა, რომ საფრანგეთი და მისი ჯარი ყოველთვის დიდი მოწიწებით მოიხსენიებს ამერიკის გმირებს, საფრანგეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ. ამერიკელთა გულში სცოცხლობს დიდი ვაშინგტონი. დეე ვიყვეთ ძმებად და ერთრგულ მეგობრებად მშვიდობიან დროის აღმშენებლობაში. საფრანგეთი და ამერიკა მოკლებული არიან დაპყრობით პოლიტიკას. ისინი ზიზღით უყურებენ ამას და უნდათ თავისუფალი ცხოვრება ყველასათვის. ამ დღესასწაულის გამო გამოქვეყნდა მილერანისადმი მიწერილი შემდეგი წერილი: საფრანგეთის დემოკრატია უერთდება ბრიტანეთის დემოკრატიას რათა შეერთებულად მიესალმოს ვაშინგტონს და თავისუფლების უფროს ქალიშვილს ამერიკის დემოკრატიას.

იტალიის შინაური მდგომარეობა.

რომი, აგვისტოს 6. რადიკალ ჯერარდმა დეპუტატმა პალატაში იტალიის შინაურ მდგომარეობის შესახებ შემდეგი განცხადება გააკეთა: სახელმწიფოში ძლიერდება ანარქისტული და ინტერნაციონალური იდეები, რასაც თან ახლავს აქტიური გამოსვლებიც. ასეთი მდგომარეობა აუარესებს იტალიის ფინანსიურ მდგომარეობას და უცხოელების თვალში მის სახელს სცემს. იმ სახელმწიფოებში, სადაც შედარებით იტალიასთან, კლასიურ წინააღმდეგობას უფრო მეტად აქვს ფეხი მოდგმული, არ არის იმდენად გავრცელებული ანარქია და ისე დასუსტებული მამულიშვილური გრძნობა, როგორც იტალიაში. რუსეთის მაქსიმალისტებმაც კი, თავის მუშები მოამწყვდიეს რკინის დისციპლინის ჩარჩოებში. თვით საბჭოთა სახელმწიფო უეჭველად გაიჟღინთება მამულიშვილური გრძნობით და თანდათანობით დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდიქმნება.

რუსეთის ხალხის გონიერებაზეა დამოკიდებული.

პარიზი აგვისტოს 8. „ეკლერი“ იუწყება: მოკავშირეებმა მიიღეს საბოლო გადაწყვეტილება მოსკოვის მთავრობის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამიერიდან ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთის ხალხის გონიერებაზეო. ამ ხალხმა უნდა ანგარიში გაუწიოს მდგომარეობის სერიოზულობას. პოლონეთი მოკავშირეების მხრივ უყურადღებოდ არ იქნება დატოვებულიო.

ვრანგელის მთავრობა.

პარიზი, აგვისტოს 8. მ. ვ. ბერნაცკიმ, საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის ცნობის შემდეგ „ტანის“ თანამშრომელს განუცხადა: ვრანგელის მთავრობა ერთად ერთი რუსეთის სასურველი მთავრობაა. ამ მთავრობამ ფორმალურად განაცხადა, რომ ის ღებულობს ყველა ვალებს და კისრულობს სათანადო ვალდებულებას უცხოეთის სახელმწიფოების მიმართ. საფრანგეთი უნდა დარწმუნებული იყვეს, რომ რუსეთი, როგორც კი მოიცილებს თავიდან ბოლშევიზმს და დაამყარებს წესიერებას, შეუდგება საფრანგეთის კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მუშათა მთავრობა ინგლისში.

გაზეთ „ფორვერსტში“ მოთავსებულია ცნობა, რომ ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესის დასასრულზე თემთა პალატის წევრს კილონს განუცხადებია, რომ ინგლისის მუშათა პარტიას შეუძლიან მართვა-გამგეობა იკისროს. ის დრო, როდესაც ეს იქნება არც ისე შორს არის. კილონს თავის სიტყვაში ხაზი გაუსვამს რომ მუშათა მთავრობა იქნება არა საბჭოთა მთავრობის მსგავსი, არამედ ისტორიული და იგი დიდ როლსაც ითამაშებს ინგლისის ცხოვრებაშიო.

ასკვიტი მესოპოტამიის შესახებ.

ასკვიტმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისს არავითარი პრეტენზიების უფლება არ აქვს რომ მესოპოტამია შემოიერთოს. ერთად-ერთი ბატონ-პატრონი მესოპოტამიის შეიძლება იყოს ხალხთა ლიგაო. ამაზე ლოიდ ჯორჯს უპასუხნია რომ მესოპოტამიის შემოერთება დამტკიცებულია 1918 წ. დეკლარაციაზე და ინგლისს სრული უფლება აქვს მესოპოტამია შემოიერთოსო.

ოსმალეთში

— ათინის გაზეთის „პატრის“ ცნობით, მუსტაფა ქემალი დიდ სამხედრო ძალებს ეყრის თავს რომ საბერძნეთის ფრონტისკენ წავიდეს. მუსტაფა ქემალი უმთავრესად სომხეთის ჯარის კილიკის ფრონტს ეყრდნობა და მას ძალიან სჯერა თავისი გამარჯვება. მეორე გაზეთი კი „ნეოლგისი“ სწერს: საბერძნეთის ჯარების საქმე მეტად კარგად მიდის. მოკავშირეებს სრული თავისუფლება მიუციათ საბერძნეთის ჯარების მთავარ სარდალ პარასკევის პულოსთვის რომ მან სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ქემალისტების წინააღმდეგ. ქემალისტებს გაუწმენდიათ შემდეგი ადგილები: უშაკი და ესკი ბუხარი. საბერძნეთის ჯარების შეტევა მიმართულია ამ ჟამად ალაშეხირის და ბრუსსის ფრონტებისკენ. თვით ქემალისტების შორის ნათლად სჩანს რომ წინანდელი აღფრთოვანება მათში აღარ არის.

სომხეთში

— „ეურნალი დედებაში“ დაბეჭდილია სომხეთის ნაციონალურ დელეგაციის შესახებ შემდეგი ცნობა: სომხეთის ნაციონალურ დელეგაციის თავმჯდომარე პოღოს ნუბარი მიღებული იყო სხვა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელებთან ერთად. ოსმალეთის დელეგაციამ პროტესტი გამოიტანა რომ პოღოს ნუბარს ოსმალეთის სომხობის წარმომადგენლად არ შეუძლიან იყოს და ამასთან ერთად ვერც საზავო ხელშეკრულობას ხელს მოაწერსო.

— უკანასკნელ ხანებში შარურში რამდენიმე ადამიანი გახდა ხოლერით. მზრუნველობის სამინისტრომ ხოლერის წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიიღო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული პრესა.

მილიერანს ჩრდილოეთ საფრანგეთში მოგზაურობის დროს შეეძლო დარწმუნებულიყო იმაში, რომ მცხოვრებლებმა დიდი ჯაფა გასწიეს კესნოის აღდგენის საქმეში და რომ ხალხს დიდი რწმენა აქვს თავისი თავისა და მთავრობისა. ყველგან, სადაც კი ის მივიდა, მან ერთნაირი სანუგეშო შთაბეჭდილება მიიღო და გაიგონა გამამხნევებელი სიტყვა (დამახინჯებულია). ქ. ვალანსიენის მოურავმა მას დაუხატა გაუბედურებულ ქალაქის მდგომარეობა, რომელიც გაანადგურეს გერმანელებმა და სადაც 55% შენობებისა დანგრეულია. მცხოვრებლები თხოულობენ დანგრეულ შენობათა დაუყონებლივ აღდგენას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა: „თქვენ ამბობთ დაუყონებლივ და სავსებით აღდგენილ იქნას დანგრეული შენობები. საფრანგეთი გერმანიის მევალეა. ჩვენ არ დავაყოვნებთ და მოვსთხოვთ მას ზარალის სრულ გადახდას. ჩვენ სერიოზული ხალხი ვართ და იმიტომ მოვედით, რომ გავიგონოთ და ვსთქვათ სიმართლე. სიტყვაში, რომელიც კესნოეში წარმოსთქვა მილიერანმა დაადასტურა, რომ სისხლით არის განმტკიცებული მოკავშირეთა ერთსულოვნება, რომელსაც შესწევს ძალა გარდამავალ დაბრკოლებათა გადატანისაო. უთანხმოება, რომელიც შესაძლებელია დაიბადოს მოკავშირეთა შორის, რომლებიც წარსულში ამხანაგები იყვნენ ბრძოლაში და რომლებიც ამხანაგებათვე დარჩებიან მოსალოდნელ ბრძოლაშიაც, ეს უთანხმოება, გარწმუნებთ თქვენ, არსებითად არაფერს არ სცვლის და სრულიად არ ასუსტებს იმის მტკიცე, ღრმა და აღმოუფხრელ რწმენას, რომ ჩვენი კავშირის განმტკიცებას მოითხოვს არა მარტო მორალური ვალდებულება, არამედ სასიცოცხლო ინტერესებიც. მაშინაც კი როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენ უთანხმოებას და ჩვენი ვალდებულებაა აღვნიშნოთ იგი—ყველამ კარგად იცის, ყველა კარგად გრძნობს, რომ მოკავშირენი მეორე დღესვე ხელიხელ ჩაკიდებულნი წავლენ ერთ საერთო მიზნისაკენ: დაამკვიდრონ სამართლიანობა ქვეყნიერებაზე. ამ მიზნისათვის დაიღუპა, როგორც ეს ჩვენ თითონ ვიხილეთ კრეტ-დე-ვიმში, 30 ათასი კანადელი, ამ მიზანს შესწირა თავი ახალ ზელანდიის მთელმა დივიზიამ, რომელსაც სურდა კესნოეს უკან დაბრუნება. როდესაც ერებში ასეთი მოგონებანი არსებობს, შესაძლებელია კავშირს ღრუბლები გადაეკრას, მაგრამ ეს ღრუბლები გაჰქრება და კავშირი უფრო გაბრწყინდება.

გერმანული პრესა.

სპარტაკელები და მუშათა პარტია.

თანახმად ჰამბურგიდან მიღებულ ცნობებისა, მას შემდეგ, რაც გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია ჩამოშორდა სპარტაკელებს, ჩრდილოეთ-დასავლეთის რაიონში კომუნისტური პარტია სპარტაკელებს „კომუნისტურ ლიგის“ სახელწოდებით გამოეყო. ამ რიგად ან ჰამბურგის ბოლშევიკების ლიდერებს დოქტორ ლაუფენბერგსა და ვოლფგეიმს უღალატა (დ. ს.).

გერმანია და ანტანტა.

აგვისტოს პირველ ნახევარის განმავლობაში გერმანიის მიერ ანტანტისადმი ნახშირის მიწოდება სავსებით აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს. უცხოეთის პრესის წინააღმდეგ, რომელიც უსაფუძლოთ იწუნებს ნახშირის ღირსებას, გერმანიის პრესა პროტესტს აცხადებს. ნახშირის ღირსება დამოკიდებულია იმ ადგილზე, საიდანაც მას იღებენ. მოკავშირეებისათვის ნახშირის გადაცემა ხდებოდა ხელშეკრულების პირობების შესრულებით.

საპრედიტო საქმის რეფორმა.

საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ იმ საკრედიტო დაწესებულებათა იძულებითი წესით ლიკვიდაციის შესახებ, რომელთა მოქმედებაც რესპუბლიკისათვის საზარალოა. ფინანსთა მინისტრს სათანადო მოხსენება წარუდგინა. გამგეობის აზრით ბანკის ძველ აპარატს, თუ იგი არ შეიცვალა ძირიანად, რესპუბლიკისათვის მართლაც დიდი ზარალის მოტანა შეუძლია. გამგეობა აღნიშნავს, რომ საკრედიტო საქმე მით უფრო უარესდება, რომ ზოგიერთი პირი წინასწარ განზრახულ სპეკულიაციის მიზნით ანონიმურ საბანკო კანტორებს ხსნიან. გამგეობა აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთმა გარემოებამ აიძულა საქართველოს მთავრობა მიეღო გადაწყვეტილება ასეთ დაწესებულებათა მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ამასთანავე გამგეობა მიუთითებს სამინისტროს არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა დაცვის საჭიროებაზე. მაგრამ საჭიროა საკრედიტო საქმეში გარკვეულ ხაზით ყველა ბანკმა უნდა იმოქმედოს თანახმად ფინანსთა სამინისტროს შემუშავებულ პროგრამისა. ფინანსთა სამინისტრომ საკრედიტო დაწესებულებებზე სასტიკი კონტროლი უნდა დააწესოს. კავშირი თავის მხრივ ფინანსთა სამინისტროს ამ საქმეში დახმარებას პირდება.

დაზღვევის ფონდი.

სახელმწიფო ბანკის გამგეობამ დაიმუშავა და დამფ. კრებას გადასცა პროექტი ბანკის დაზღვევის ფონდის მოწყობის შესახებ. განმარტების ბარათში გამგეობა აღნიშნავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ბანკის კომერციულ ოპერაციებზე დაზღვევის ფონდის შექმნას ექნება. თუ ბანკი შესძლებს საქონლის დიდ ოპერაციების მოწყობას, ამით იგი ბაზრის ფასებზე გავლენას მოახდენს. ამისთვის კი საჭიროა: 1) ჰქონდეს ბანკს საქონლის ისეთი საწყობები, რომლებიც ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველყოფილი იქნებიან, 2) ბანკს უნდა ექნეს შეძლება საქონლის დაზღვევისა. პირველი მიზანი უკვე მიღწეულია. ბანკს აქვს საქონლის დიდი საწყობები. უფრო რთულია მეორე საკითხი, ვინაიდან საქართველოში არსებული დაზღვევის საზოგადოებანი წარმოადგენენ მხოლოდ რუსეთის დამზღვევ საზოგადოებათა ფილიალურ განყოფილებებს. ამიერ-კავკასიის დამზღვევ საზოგადოებას კი არა აქვს საშუალება, რომ საქონელის ფართო ფარგლებში აწარმოოს დაზღვევა. ამიტომ სახელმწიფო ბანკი საჭიროდ სთვლის მოაწყოს დამზღვევი ფონდი, რომელიც ბანკის გავლენას კიდევ უფრო გააძლიერებს. გამგეობა შუამდგომლობს დამფ. კრების წინაშე ასეთი ფონდის შესაქმნელად სათანადო თანხის გაღების შესახებ.

ახალი ამბები

საგარეო საქმეთა მინისტრ ე. ჰ. გეგეჭკორის საზღვარ-გარეთ გამგზავრების გამო გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღსრულება დაეკისრა სამხედრო მინისტრ გრ. ლორთქიფანიძეს.

ბოდბის მონასტრის დაწვა. კვირას, 15 აგვისტოს გაუჩნდა ბოდბის მონასტრის სადგომ შენობებს ცეცხლი, რომელიც გაჩენილა მონოზნების დაუდევრობით. მონოზნებმა ზარის რეკა ასტეხეს და 4—5 ვერსით დაშორებულ სოფლებიდან მოვიდნენ, როგორც მდევარი ისე გვარდიაც, რომელიც შეუდგა აზვირთებულ ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ყოველივე ცდა ამაო შეიქნა. ცეცხლი მთელი სისასტიკით და სიმძაფრით გრძელდებოდა. ღამის 11 საათზე მოვიდა ძლიერი წვიმა, რომელიც დილის 5 საათამდე არ შეწყვეტილა. წვიმამ ცეცხლი საკმაოდ გაანელა. მხოლოდ დილის 8 საათზე ალმა ისევ ამოჰკრა. ნელი წვა ისევ გრძელდებოდა ორშაბათს საღამომდე. ზარალი ათ მილიონამდეა.

იმპორტი და ექსპორტი. იტალია-კავკასიის ბანკმა საგაჭრო-სამრეწველო პალატას სთხოვა: გვაცნობეთ საქართველოს ისეთ დიდ ფირმების სახელწოდება, რომელთაც უცხოეთში საქონელი გააქვთ და შემოაქვთ. ეს შეკითხვა გამოიწვია ნეაპოლის ერთმა დიდმა ფირმის განცხადებამ, რომელსაც სურს საქართველოს სამრეწველო ფირმებთან დამოკიდებულება დაიკავოს.

შავი ქვის ექსპორტი. შავი ქვის კომიტეტის გამოანგარიშებით მომავალ წელს საქართველოდან შეიძლება გატანილ იქნას შავი ქვა არა უმცირეს 40—45 მილ. ფუთისა. სახელმწიფომ ფუთზე რომ მხოლოდ 35 მან. აიღოს, შემოვა სულ ერთი მილიარდი და 40 მილ. მან.

მუშათა ცხოვრება

მუშათა დეპუტაცია.

მუშათა მაგიდამ თავის მოქმედების შესახებ ცნობები შეკრიბა. ეს ცნობები გადაეცემა მუშათა დელეგაციას, რომელიც რუსეთში მიემგზავრება. როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, მომარაგების ფონდით სარგებლობს: ტფილისის სახელმწიფო, საზოგადო, ქალაქის და კერძო წარმოებათა 27,000 მუშა და მოსამსახურე. მუშათა მაგიდა იძლევა 62.000 რაციონს. ტფილისის გარდა, სხვა ქალაქებში მომარაგების ფონდი 63,000 სულს აწვდის სურსათ სანოვაგეს. ამის გარდა მომარაგების ფონდით სარგებლობენ მთელი რესპუბლიკის რკინის გზების მუშა-მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი 17,600 უდრის. მათ ეძლევათ 85.000 რაციონი. სულ მთელ რესპუბლიკაში მომარაგების ფონდით 118.000 მუშა და მოსამსახურე სარგებლობს. სურსათ სანოვაგის გარდა მუშებს და მოსამსახურეებს 30 მილ. მან. ღირებული მანუფაქტურა მიეცა.

მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ დამფ. კრების სოც. დემ. ფრაქციას აცნობა მუშათა მაგიდა შეძლებისა და გვარად, გარდა ტფილისის მუშების და მოსამსახურეებისა სურსათ-სანოვაგეს პროვინციის მუშებსა და მოსამსახურეებსაც აწვდის. კერძო მუშებს ერთდროული დახმარება მიეცა, ასეთივე დახმარება მიეცა გზატკეცილების მუშებსა და მოსამსახურეებს. ამ ჟამად მომარაგების სამინისტროს არ ყოფნის სურსათ.სანოვაგე, ამიტომ მისი წესიერად მიწოდება მუშებსა და მოსამსახურეთათვის ძლიერ გაძნელებულია.

ფრონტისთვის

სამხედრო კომისიის თავმჯდომარის სახელზედ ფრონტის სასარგებლოთ მოსულია შემდეგი შემოწირულებანი: ქალ. სოხუმის ეროვნულ საჯოსაგან 100.000 მან., ქალ. სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 5.100 მან., ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკისაგან 10.000 მან., ფულით შემოწირულების რაოდენობა უდრის 115.100 მანეთს. ამას გარდა სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან შემოწირულია 65 გირვანქა საუკეთესო ხარისხის თამბაქო. შემოწირულ თანხით სამხედრო კომისიამ ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან შეიძინა შემდეგი ნივთები: კონვერტი—1.800 ცალი, ფოსტის ქაღალდი—1.800 ცალი, ფანქარი—1.110 ცალი, პაპიროსის ქაღალდი—2.620 ცალი, ნემსები—5 პაჩკა, ჩაი $3^1/_2$ გირვანქა ნესესური—25 ცალი, ასანთი—2.600 კოლოფი, პაპიროსი—2.120 ცალი, ხელის საპონი 24 ფუთი, წეკო (მახორკა) 1 ფუთი, თამბაქო 5 ფუთი, და ლიტერატურა 1 დიდი ტომარა. აღნიშნულ ნივთებიდან დამზადდა 2.290 კომპლექტი საჩუქარი, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა და წევრმა ერმ. კალაძემ, სამხედრო კომისიის სახელით, დაურიგეს მე-7 რაზმის ჯარისკაცებს და ოფიცრებს, საერთო რიცხვით, 2.290 კაცს. სამხედრო კომისია ყველა შემომწირველთ ღრმა მადლობას სწირავს.

ეროვნა

ხიღნალის მაზრის საერობო ხმოსანთა მეოთხე ყრილობა.

(გაგრძელება)

გამგეობის წევრი ს. ნატროშვილი აკეთებს მოხსენებას საბუხალტერო განყოფილების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიუხედავად დაბრკოლებათა პირობებისა მაინც შევძელით გვეშოვნა ოტად თუ ბევრად დაკმაყოფილებელი შტატი. ანგარიშები მოვაწესრიგეთ. დიდი დრო და ენერგია დასჭირდა განყოფილებას ძველი წლის ანგარიშების მოსაგვარებლად და მიმდინარე საქმეებთან ერთად. შემდეგ მომხსენებელი ეხება სწავლა-განათლების საქმეს და ამბობს: ჩვენი ენერგია სკოლების აღდგენაზედ და გამოსწორებაზედ დაიხარჯა. სკოლის შენობები დანგრეული იყო, სასწავლო ნივთები განადგურებული. ჩვენ რამდენადაც კი შეგვეძლო შევაკეთეთ სასკოლო შენობები, ისე რომ აქ მეცადინეობა შესაძლებელი ყოფილიყო. მასწავლებელთა შოვნაც ძნელდება. გადაწყვეტილი გვაგვს ამ ზაფხულს მოვაწყოთ მოკლე ვადიანი კურსები ჩვენი მასწავლებლებისათვის. უნდა აღინიშნოს რომ ხალხი სკოლების ვაუმჯობესობაზედ ნაკლებად ზრუნავს, თუმცა სწავლის საჭიროებას კარგად გრძნობს და დიდის ხალისითაც ეტანებიან სკოლას, მაგრამ ხარჯების გაღებას და სკოლაზედ მუდმივ მზრუნველობას გულცივად ეკიდებიან. რაც შეეხება სკოლის გარეშე განათლებას ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა, გვინდოდა საღამოს კურსების მოწყობა, მაგრამ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზო. გადოება გულცივად შეხვდენ ამ საქმეს. მოვაწყვეთ ასეთი კურსები მხოლოდ გვარდიელებისათვის. თვენახევრის განმავლობაში სწარმოებდა მეცადინეობა, მაგრამ შემდეგ მობილიზაციამ შეუშალა ხელი. საერთოდ სწავლა-განათლებაზედ მეტი დავხარჯეთ, ვიდრე ყრილობისაგან იყო ვადადებული ამ დარგისათვის.

სტატისტიკური განყოფილება კარგად მუშაობს, სტატისტიკის საქმე კარგათ არის დაყენებული მაზრაში და იგი ერთ საუკეთესო განყოფილებათ ითვლება ჩვენს ერობაში.

გამგეობის წევრი **დ. კარიჭაშვილი** აკეთებს მოხსენებას სატეხნიკო განყოფილების მოქმედების შესახებ. ყველა ის დავალებანი რაც ყრილობისაგან ჰქონდა დავალებული ამ განყოფილებას, მეტ-ნაკლებობით თითქმის ყველა შესრულდა.

შევაკეთეთ ანაგა-მუკუზანის გზა და ამ გზაზე გავაკეთეთ ორი ახალი ბოგირი. ლაგოდეხის გზაზე, რომელიც მთავრობისაგან გადმოგვეცა შარშან გაზაფხულზე ძალიან დაზიანებული იყო, დღეს ამ გზაზე თითქმის ყველაფერი გაკეთებულია, გარდა ალაზნის ხიდისა, რომელზედაც ამ ჟამად სწარმოებს ახლად ხის ფენილის დაგება და ამ დღეებში ესეც დამთავრდება. ამავე გზაზე ავაგეთ ორი ახალი ხიდი ჭიათურისა და შავწყალასი. შევაკეთეთ აგრეთვე გზა სიღნაღ-მაჩხაანის მიმართულებით დაქირავებული მუშებით. შარშანვე დავიწყეთ სადგ. მელაანზე მისასვლელი ახალი გზის გაყვანა 5 ვერსის მანძილზე, უმთავრესი სამუშაო აქაც გაკეთებულია და ახლო მომავალში ამ გზის გაყვანაც დამთავრდება.

რაც შეეხება ჰიდრო-ტეხნიკას აქ ჩვენი მუშაობა გამოიხატება მცხოვრებთათვის ტეხნიკურ დახმარებით. ყველგან, სადაც კი განიზრახავდენ ჰიდრო-ტეხნიკის მუშაობის დაწყებას, ეს ჩვენს გარეშე არ ხდებოდა, რჩევა, წინასწარი გამოკვლევანი, მუშაობის წარმოება, ყოველთვის ჩვენი იყო.

ტელეფონის ქსელის მოწყობა აღებული ჰქონდა თავის თავზე ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამართველოს, ჩვენ მხოლოდ ვეხმარებოდით ამ საქმეზე. თუმცა დავალებული გვქონდა წარსული ყრილობისაგან ცალკე კოლონა შეგვექმნა და დამოუკიდებლივ გვეწარმოებინა ტელეფონის ქსელის მოწყობა. მაგრამ ამის საშუალება არ მოგვცა ოლქის უფროსმა.

მექანიკური სახელოსნოს მოწყობა არ მოხერხდა იმ თანხით, რომელიც ამ საგანზე გადადებულ იყო ხარჯთ-აღრიცხვით.

რაც შეეხება ახტალის კურორტს მის შესახებ წარსულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ვრცელი მოხსენება.

გამგეობის წევრი **ი. კრაწაშვილი**. აგრონომიული დახმარების ფართედ მოწყობას ხელს უშლიდა შესაფერი შტატის უყოლობა, თუმცა ყრილობის დავალებით უნდა გვყოლოდა მაზრაში 4 აგრონომი, მაგრამ ამდენი სპეციალისტები ვერ ვიშოვეთ. საზოგადოებრივ აგრონომიის დარგში მიღებული იყო შემდეგი ზომები: პროპაგანდა, გამომცემლობა, მანქანებით მწკრივად თესვა, ბრძოლა მოსავლის მავნებლებთან მინდვრის თაგვთან და სხვა, სამეურნეო იარაღების მიწოდება, კონსულტაციები და სხ. ამ მცირე პერსონალით და ამ თანხით, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო, მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო, გარდა ამისა ის კულტურული მამულები, რომელიც ჩვენს ხელში გადმოვიდა (მაწიმის ენფიანჯიანცისეული ბაღი, ჩუმლაყის ამერიკული ვაზის სანერგე, ცოდნის კარის საცდელი მინდორი და სანერგე) გავერანებული იყო და მათ აღდგენას და მოწყობას დიდი შრომა და თანხა დასჭირდა. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი მუშაობის დაწყებისას იყო პირველ თვეებში მოგვეკრიბნა ის სამეურნეო იარაღები, რომელიც მცხოვრებლებმა მიითვისეს რევოლიუციის პირველ ხანებში. მათ თავი მოუყარეთ, შევკრიბეთ და ეხლა გასაქირავებელ პუნქტზე ვაწვდით ხალხს მოსახმარად.

(შემდეგი იქნება)

აგრარული რეფორმა.

საფონდო მიწების განაწილება თელავის მაზრაში.

თელავის სამაზრო ერობამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დასამტკიცებლად წარმოუდგინა პროექტები საფონდო მიწების დანაწილებისა რუის პირის უბანში (იყალთოს რაიონი) და სოფელ ურიათუბანი (ამავე რაიონისა). თანახმად ამ პროექტისა სოფ. ურიათუბანში დანაწილებულია 307 დეს., რომელიც შეფასებულია 756757 მანეთად, ხოლო რუის-პირში—735 დესეტინა, რომელიც შეფასებულია 1531289 მანეთად. სოფელ ურიათუბანში დაკმაყოფილებულია 333 მთხოვნელი, ხოლო რუის-პირში 313. მოქალაქე მიწათ-მოქმედების მინისტრმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონა და დაამტკიცა.

შრომის ბირჟის მოწოდება

შრომის ბირჟაში ჩაწერილი უმუშევრები ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად აცდენენ თავიანთ რიგს; ეს კი შრომის ბირჟას საშუალებას უსპობს ბირჟაში შესული მუშა ხელის მოთხოვნილება თავის დროზე დააკმაყოფილოს. უმთავრესად ეს ეხება კვალიფიციურ მუშებს— ლითონზე და აღმშენებლების—მუშებს. აღნიშნულ დარგის მუშები არ კმაყოფილდებიან სატარიფო პალატის მიერ შემუშავებული ჯამაგირებით და ისინი უპირატესობას აძლევენ თავიანთი შრომა შრომის ბირჟის გარეშე, მის დაუკითხავად, ბაზარზე გაიტანონ. ეს ხდება სწორედ იმ დროს, როცა შრომის ბირჟაში აუარებელი მოთხოვნილება არის მუშა-ხელისა, ხოლო ბირჟას, მისდა სამწუხაროდ, არ შეუძლია დააკმაყოფილოს მწარმოებელი, რადგან ბირჟას არ მოეპოვება შესაფერი კატეგორიების უმუშევრები.

აშკარაა, დამქირავებელი იძულებული ხდება გავიდეს ბაზარში და იქიდან მოიწვიოს მუშები, რასაკვირველია, გაცილებით დიდ ფასებში. ეს კი ძალიან ცუდ გავლენას ახდენს თვით ნაწარმოების თვისება-ღირებულებაზე.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა, მუშა-ხელის ვადაჭარბებულ ხელფასის მოთხოვნილების გამო. არ მზადდება აუცილებლად გასაკეთებელი საგნები. ეს უკანასკნელი შემთხვევა კი განსაკუთრებულ ზედგავლენას ახდენს საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებაზე.

ამ ჟამად შრომის ბირჟაში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა ლითონზე მომუშავეთა, აღმშენებლებისა და ხე-ტყის დამამზადებელ მუშებისა და საზოგადოდ არა კვალიფიციურ მუშებისა, და სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ბირჟას შეუძლიან დააკმაყოფილოს აღნიშნული დარგის მუშების ასი და ათასი უმუშევარი, მას საშუალება არა აქვს დააკმაყოფილოს მოთხოვნილების მეოთხედიც.

შრომის ბირჟაში ჩაწერილ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებს სხვა არა ნორმალური მოვლენაც ემჩნევათ. არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ბირჟის წესდებას, არ ცხადდებიან დანიშნულ დღეს, დანიშნულ დროს, ესწრებიან კვირაში ერთხელ, ეს მაშინ, როცა შრომის ბირჟაში ყოველ დღე შემოდის მოთხოვნილება; მას კი უძნელდება ყოველთვის შემოინახოს ადგილი რიგში მყოფ უმუშევართათვის.

შრომის ბირჟა, სთვლის რა აღნიშნულ მდგომარეობას არანორმალურად, მოუწოდებს ყველა უმუშევართ ჩაეწერონ შრომის ბირჟაში და მტკიცეთ დაიცვან თავიანთი რიგი.

ამასთანავე შრომის ბირჟა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი წესდება რეგისტრაციისა არას შემთხვევაში განსხვავებული არ იქნება ამა თუ იმ კატეგორიის მუშებისათვის.

შრომის ბირჟის შემოწმებით დღიურად მომუშავე მუშის ხელფასი შემდეგნაირია:

აღმშენებლობითი მუშებს 300—355 მან.
ლითონზე მომუშავეებს 300—400 მან.
შავ სამუშაოზე მომუშავეებს 200 მან.

აღნიშნულ ციფრებში შედის 25%, რომელნიც იაფ-ფასიან სურსათ-სანოვაგით ვერ სარგებლობენ სახელმწიფო ფონდიდან.

ქალაქის შრომის ბირჟა.

რკინის გზაზე.

რკინის გზის სამმართველომ განკარგულება გასცა, რომ ყოველ მხრივ დაეხმარონ შტატის შემცირების გამო შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს, რომლებიც რუსეთში აპირებენ წასვლას. ეუწყა აგრეთვე რკინის გზების სამმართველოს ისიც, რომ მობილიზაციით გაწვეული 1888 და 89 წ.წ. დაბადებულნი მოსამსახურენი და ახლა ორი თვით განთავისუფლებულნი შეიძლება დაშვებულ იქმნან განსაკუთრებულ ჯილდოს მიცემით თავის თანამდებობაზე. (დ.ს.)

პარიტეტულ ტეხნიკური კომისია.

გზათა უწყების დეპარტამენტმა შეიმუშავა ცენტრალურ და რაიონულ პარიტეტულ და ტეხნიკურ კომისიათა დაარსების წესები. ამ წესების მიხედვით ცენტრსა და რაიონებში არსდება ზემოაღნიშნული კომისიები იმ მიზნით, რომ მათ განაგონ და თვალყური ადევნონ რკინის გზაზე მოსამსახურეთა მიღების, დათხოვნის და მათ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის საქმეს. ამ კომისიაში შევა ადმინისტრაციისა და მოსამსახურეთა საბჭოს წარმომადგენლები. კომისიაში იქნება 4-6 პირი.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 16 აგვისტოსი.

1) ბათუმიდან—გაბეჩავას. 2) ახალსენაკიდან—პატარაიასთვის. 3) სუხუმიდან—კოდეაიას. 4) ბათუმიდან—სპექტორს. 5) აბასთუმნიდან—მალაშხიას. 6) ბათუმიდან—კაკაბაძეს. 7) ბათუმიდან—ვართანოვს. 8) ცხინვალიდან—კასრაძეს. 9) ახალსენაკიდან—ბაუმანს. 10) გუდაუთიდან—შპიპერს. 11) სადახლოდან—ცუცქარიძეს. 12) ყაზბეგიდან—იანდიევს. 13) ბათომიდან—დევშარიძეს. 14) ახალციხიდან—ტატულოვს. 15) ბათომიდან აბრამიძეს. 16) წაღვერიდან—იასიპოვს. 17) ბათომიდან—გაბეჩავას. 18) ბაკურიანიდან—ბაჟუხოვს. 19) ახალ-გაგრიდან—ავედისოვს. 20) მუხიანიდან—დიდიძეს.

მილიციაში

— ქუთაისის ვაჭარი მოსე ციციაშვილი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა სავაჭროდ და რამდენიმე ხანის შემდეგ ფიქრობდა ამავე მიზნით რომში გამგზავრებას, მივიდა თბილისის მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებაში, სადაც მან იყიდა 1200,000 მანეთი კვრენსკის ფულისა და 300,000 ნიკოლოზისა იმავე დროს დასახელებულ ბანკში შესულიყო ვინმე მევაჭრე ასმაბიანცი ბანკმა ორივეს გამოუწერა საერთო ორდერი: 400,000 მან. კერენსკისა 100.000 მან. ნიკოლოზის „ცენტრო-კავშირის“ ბუღალტერის სელიკას სახელზე. ციციაშვილს მიეღო ფული, როდესაც ასმაბიანცი მისულიყო ფულის მისაღებად, კასირს ეთქვა რომ ციციაშვილმა მიიღო ფული წარდგენილ ორდერითი. მოსკოვის სახალხო ბანკის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა სისხლის სამართლის მილიციას. გამოძიების შემდეგ როდესაც დაკითხული იყო ვაჭარი ციციაშვილი, ციციაშვილმა უარი განაცხადა რომ ასმაბიანცის ფული მე არ მიმიღიაო. თუმცა ასმაბიანცის ხვედრი ფული კი გადიხადა. ამის გამო ციციაშვილი განთავისუფლებულ იქმნა.

— სისხლის სამართლის მილიციამ ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის წინადადების თანახმად დაიჭირა და დააპატიმრა ალასკერი ტაგი ზადე, ძული გუსეინი იბრაღიმ ოღლი, აბას ბაჩაევი და ასკერ საფარი. მათ ბრალდებად ქუთაისში ორი ხალის მოპარვა ღირებულობით 100.000 მანეთისა. დასახელებული ხალები აღმოჩნდა ვორონცოვის ქუჩაზე სახლი № 48 ასკარ საფარის ბინაზე.

— 16-ს აგვისტოს სისხლის სამართლის მილიციამ დაიჭირა ქურდი-რეციდივისტები: ფაშა ილიას ოღლი, მიხეილ თათოსოვის ძე მარკაროვი, ნიკოლოზ დავითის ძე ბურჯანაძე, ალექსი გიორგის-ძე ეფრემოვი და იოსებ სერგეის ძე საქრაევი.

წერილი რედ. მიმართ.*)

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მე-179 №-ში მოთავსებულია კორესპონდეცია სოფ. კიცხიდან ბ. „მიუდგომელის“ ფსევდონიმით, რომელიც ხარაგოულის რაიონის საავგარო კომისიის მუშაობის შესახებ სწერს: „მიწის მიმღებმა კომისიამ თითქმის მოათავა მიწების ჩაბარება. ვისაც ჰქონდა თითო ოროლა აზნაურს მიწა ჩამოერთვათ, მიმღები კომისია მეტად ნაყოფიერად და სამართლიანად მუშაობდა, მაგრამ აღსანიშნავია მისი ცხოვრებიდანაც ზოგიერთი დეფექტები: მაგ. მიწის მიმღებ კომისიის წევრს ბ. კავილაძეს ლამის მოეკლა ადგილობრივი აზნაური დ. ავალიშვილი, ეს უკანასკნელი იმ აზნაურთაგანია, რომელსაც კუდი ძალზე ეწვის მიწების ჩამორთმევით, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მაინც არ გაუბედია, და გასაკვირვე-

*) უადგილობის გამო წერილს შემოკლებით ვბეჭდავთ. **რედ.**

ლია რად დასჭირდა მისი სიკვდილი ბ. კავალაძეს (რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვიამ უმტყუნა) და თუგინდ წინააღმდეგობაც, რომ გაეწია ხსენებულ ავალიშვილს კომისიისათვის, „სამოსუდის“ უფლებები მისთვის არავის მიუნაჭებია; ამისათვის მათ ხელთ აქვთ შესაფერისი კანონი, რომლის განსახორციელებლათ მას გვერდში უდგია ადმინისტრაცია“...

დეფექტები-შეცდომები კომისიას შეიძლება ჰქონდეს ასეთ რთულ რეფორმის გატარებაში, როგორიცაა აგრარული, მაგრამ ბოროტმოქმედება კომისიას არსად არ ჩაუდენია. რაც შეეხება იმას, რომ ბ. „მიუდგომელი“ აღნიშნავს დ. ავალიშვილს და განმარტავს, რომ ის, ის აზნაურთაგანია, რომელსაც კუდი ძ ლ'ზე ეწვის მიწის ჩამორთმევით, მაგრამ წინააღმდეგობა კომისიისათვის მაინც არ გაუწევიაო“, არ შეესაბამება სინამდვილეს. ეი ფაქტებიც:

1919 წ. დ. ავალიშვილმა კომისიაში მომუშავე მიწის მზომელს, გრიგოლ ბუაძეს, კაცი მიუგზავნა და ქრთამი შეაძლია, რომ მისი მიწა დაფარულიყო, აქ რომ ვერაფელს გაბდა, მერმედ თვითონ შეუვარდა ხსენებულ მიწის მზომელს კაბინეტში მუშაობის დროს და შეაძლია ფული; როდესაც მიწის მზომელმა ფულის მიღებაზე უარი უთხრა და შეუყვირა, ავალიშვილმა დაყარა ფული და ისე გამოვარდა კარში, რაზედაც კომისიამ შეადგინა ოქმი და ფულითურთ (50 მ. იყო) გადაგზავნა სამაზრო ერობაში, მაგრამ არაფერი სასჯელი არ მიუღია ავალიშვილს ასეთი დანაშაულისთვის ჯერ-ჯერობით.

ამ 1920 წ., მაზედ ჩამორთმეულ მიწების განაწ ლესის დროს, დ. ავალიშვილმა, სოფლის სავარაუდო კომისიის წევრს, ვ. ავალიშვილს, წერებში სტაცა ხელი და შეურაცყოფა მიაყენა იმისთვის, რომ ის ეხმარებოდა სარაიონო კომისიას მუშაობაში. იმ დღესვე, როდესაც კომისია გადავიდა შემდეგ ნაკვეთ მიწაზე გასანაწილებლად, სადაო უნდა გაკეთებულიყო მიჯნა (სამანი) ფონდის და დ. ავალიშვილის ნორმის მიწის შუა, ერთი კუთხიდან მიწის მზომელი აჩვენებდა კავალაძეს, სად უნდა ჩაეგდო სამანი; როდესაც იგი აგდებდა სამანს მიწაში გლეხების დახმარებით მიუვარდა მას დ. ავალიშვილი თავისი დით და სამნის ჩაგდების საშუალებას არ აძლევდა. კავილაძემ მისცა მას რამოდენჯერმე წინადადება გასცლოდა და მიეცა მისთვის მუშაობის საშუალება; მაგრამ ასეთი წინადადებით არამც თუ გასცილდენ, პირიქით მიიწევდენ მისკენ ლანძღვა-გინებით და მუქარით. ამის შემდეგ კავილაძემ ამოიღო რევოლვერი მათი შესაშინებლად და მიზანსაც მიაღწია—ჩამოშორდენ მაშინვე.

რაც შეეხება იმას, რომ ესროლა და ტყვიამ უმტყუნაო, არ არის მართალი, განა მას რომ განზრახვა ჰქონოდა ავალიშვილის მოკვლის, თუ ერთმა ტყვიამ უმტყუნა, მეორე და მესამე ხომ არ უმტყუნებდა. ამ ინციდენტის შესახებ კომისიამ შეადგინა მაშინვე ოქმი და გადასცა თემს, თემმა დაატყვევა დარისპან ავალიშვილი და ოქმით გადაგზავნა სამაზრო ერობაში, და ამ უკანასკნელმა კი საქმე გადასცა გამომძიებელს; ასე, რომ თვითნებობასა და „სამოსუდისა“, რა საც „მიუდგომელი“ გვიკიჟინებს, კომისიაში ადგილი არ ჰქონებია. და თავხედ აზნაურებიდან თავი რომ დავიცვათ ეს დანაშაულებათ არ მიგვაჩნია.

კიდევ ქვევით ბ. „მიუდგომელი“ განაგრძობს: „გარდა ამისა გვინდა ვიცოდეთ ჰქონდა თუ არა უფლება კომისიას სხვაზე მეტი მიწები ჩაებარებინა იმ პირთათვის, რომლებიც მას ეხმარებოდა მიწების ჩამორთმევის დროს (მაგ. ვარდენ ავალიშვილისათვის და სხვისათვის) ჩვენ გვგონია და რამდენადაც ვიცნობთ მიწის კანონს ამის უფლება კომიხიას არ აქვს; თუ ვისმე მეტი შრომა მიუძღვის იმას კანონიერი გზით ფულით უნდა მიეცეს ჯილდო და არა მიწა“...

აქაც ბ. „მიუდგომელი“ სინამდვილეს უხვევს. კომისიას შრომის ჯილდოდ არავისათვის მიწა მიუცია. რაც შეეხება წერილში დასახელებულ ვარდენ ავალიშვილს მას მართალია, მიეცა 256 ოთხკ. საჟ. მიწა, მაგრამ ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მემამულე დ. ავალიშვილს მიწების ჩამორთმევის დროს გადაემალა ორი პატარა ნაკვეთი მიწა, რომლებიც აღმოაჩინა შემდეგ ვარდენ ავალიშვილმა. ერთ ამ აღმოჩენილ პატარა ნაკვთ მიწაზე დარისპან და ვარდენ ავალიშვილებს ჰქონიათ დავა და საქმე სწარმოებს სასამართლოში; სარაიონო კომისიამ ეს სადავო მიწა ერთი და მეორეც, როგორც გადამალულები მიიღო ფონდში და შეადგინა დამატებითი აქტი, ეს სადავო მიწა კი გადასცა ვარდენ ავალიშვილს ფასათ, ვინაიდან ეს მიწა მის სამოსახლო ეზოზე არის მიდებული და თითონაც დაჟინებით მოითხოვდა ამას და სხვისი ვინმეს ამ მიწაზე შეყვანა ვერ იქნებოდა კანონიერი.

კომისიას ვ. ავალიშვილისათვის ორ ქცევაზე მეტი მიწაც რომ მიეცა ადგილობრივ გლეხებში ეს მაინც არ გამოიწვევდა უკმაყოფილებას, რადგანაც ვ. ავალიშვილი ენერგიულად მუშაობს რეფორმის გატარებაში.

დასასრულ, ვსთხოვთ ბ-ნ „მიუდგომელს“, თუ მართლაც მას აინტერესებს უმიწა-წყლო გლეხების კეთილდღეობა და რეფორმის სისწორით გატარება, აიხადოს ფარდა და გვაცნოს მისი პიროვნება და ჩვენ კი სიამოვნებით მივიღებთ მის დარიგებას, თუ კი საჭიროებელი იქნება ხსენებულ გლეხობისათვის

ხარაგოულის რაიონის აგრარო კომისიის წევრები: **თიმა კავილაძე, ხევ. ვეფხვაძე, გრიგ. ბუაძე.**

ზ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 183 დაბეჭდილ განცხადების სავაჭრო სახლი ს. მ. შრიროს და ს. ი. ზუსმანის სახელობის საქციო კვიტანციების იარლიკების და ზედნადებების დუბლიკატების №№ 087423, 087431, 087448, 087498, 087507 და 087528 გაუქმების შესახებ-კანტორა ძმ. ზეინალოვების აცხადებს, რომ აღნიშნული საბუთები გადაცემული იყო აშოტ ალექსანდრეს ძე ნასიბოვზე რომელმაც მიუხედავათ ნოტარიალური განცხადებისა, უკან არ დააბრუნა. კანტორა თავის მხრით გაუქმებულად სთვლის მათ. ძმ. ზეინალოვის რწმუნებული ა. ხოშტარია.
2296 3—3

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული კიევის სამხედრო საავადმყოფოდან 1906 წ. ყვირილის ნორმალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა პირი, უვადო პასპორტი № 1092, მიღებული ჯევათის მაზრის უფროსისაგან 1908 წ. და ამიერ კავკასიის რკ. გზაზე ნამსახურობის ატესტატი-უფროსი ტელეგრაფისტი ილია გიორგის ძე კაპანაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2270 3—3

დაიკარგა პასპორტი მიკირტიჩ და რიფსიმე არიუტინიანცების სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2227 3—3

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი, მიღებული ტფ. ქართულ გიმნაზიიდან 1916 წ. მეტრიკული მოწმობა და სხვა საჭირო საბუთები—ლევან ცისკარიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2288 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა მიცემული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. № 2309 პლატონ ებანოიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2289 3—2

დაიკარგა პასპორტი ოგანეზ სარქისის ძე ბანდოიანცის სახელზე, მიღებული ტფ, ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2231 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი საიათოვის შესახვევში № 3 მდებარე სახლის, რომელიც ვკუთვნის ტაგი აბაზაძის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2271 3—2

დაიკარგა პასპორტი მარიამ მარტინის ასული კრივორუჩენკო-ვასკევიჩის სახელზე, მიღებული კიევის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2281 3—2

დაიკარგა მოწმობა № 1348 ტიგრან აირაპეტოვის სახელზე, მიღებული ბათუმის ვაჟთა გიმნაზიიდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2285 3—2

დაიკარგა ვადიანი პასპორტი, მიღებული რასტოვის მილიციიდან არტემ ახპატელოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2264 3—3

დაიკარგა მოწმობა № 246 კიარიმ ალიევის სახელზე, მიღებული მუსულმანიანაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2310 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან და მეტრიკული ამონაწერი სტეფანე პეტროსის ძე ანჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2302 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. კონსტანტინე მიხეილის ძე გამაზიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2311 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა გაცემული ტფილისის ქალ. გამგ. სამხედრო კანცელარიის მიერ 1901 წ. და პიროვნების მოწმობა გაცემული საგურამოს თემის მიერ 7/VII 1920 წ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ქალიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2321 3—1

დაიკარგა ფოთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების ატესტატი № 246 გრიგოლ მარგალიტაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2304 3—1

დაიკარგა აღმასრულებელ ფურცელი გაცემული რაჭის მომრიგებელ მოსამართლისაგან 1919 წ. № 152 ნიკოლოზ ენესტორის ძე ჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2305 3—1

დაიკარგა საქ. ს.-დემოკრატიული პარტიის წევრობის ბარათი, პასპორტი და სარეგისტრაციო ბარათი № 104, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან იაკოფ არშაკის ძე ოგანეზოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2307 3—1

დაიკარგა მოწმობები, მიღებული სახელმწიფო სტამბიდან, ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და რუსების ნაციონალურ საბჭოდან ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რენკოვენკოს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2323 3—1

დაკარგე: 1) ნუსხა, 2) საცხოვრებელი ბილეთი, 3) მოწოდება და 4) ნოტარიალური მუნდობილება, ბესარიონ გიორგის ძე ჩხეიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2313 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმათ მისი ყადაღის წერილისა 4 ივანობისთვის 1920 წლისა ყადაღა ედება დანიელ მინაბეს ძე პაპარიმედოვის უძრავ ქონებას, მდებარე ქ. სოხუმში, უბ. ლიტ. „Д“ №. 3-ით, რომელიც შესდგება მიწის ნაჭერისგან შენობითურთ, ზომით 185, 085 ოთხკუთხ. 793 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმათ მისი ყადაღის წერილისა, 15 მაისს 1920 წლისა ყადაღა ედება პავლე ფრანცის ძე კუნდორერის უძრავ მამულს, მდებარე ქ. სოხუმში, ზაბესლეთის ქუჩაზე., უბ. ლიტ. Б № 6-ით, რომელიც შესდგება მიწის ნაჭერისაგან შენობებითურთ, ზომით 186 ოთხკუთხ. საჟ. 792 1—1

ქ. ტფილისის მე-14 და მე-15 უბნის სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ, ის საჯარო ვაჭრობით გაყიდის სასამართლოს ეზოში ტურგენიევის ქ. სახლი № 4 მე-9 კომისარ. 26 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე კონსტანტინე არვანიტაკის მოძრავ ქონებას მაგიდებს გრძელ სკამებს და სხ. რომელიც აწერილია ელისაბედ ლუსინიანცის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და შეფასებულია 10000 მან.
2309 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 30 ივანობისთვეს 1920 წელს სოხუმის ოლქის სიმტკიცის ნუსხაში, 49 ნაწილში № 2091, 169 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული გუდაუთის ნოტარიუსის კოზმავას მიერ სიმტკიცის მოწმობა № 1-ით რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ხუსეინ შახანის ძე ავიძბამ შეიძინა უძრავი მამული, კუთვნილი ქ. გუდაუთის, უბ. № 190 რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს № 18, ზომით 221, 1 ოთხკუთხ. საჟ. შენობებითურთ. 794 1—1

დაიკარგა მოწმობა № 440 მარიამ ესტატეს ასული ბოლქვაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2315 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ, თანახმად ყადაღის ასახსნელი წერილისა ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 21 თებერვლის 1919 წლისა № 306-ით ყადაღა დადებული შირვან ცაკვაეს ძე ჩიტავას უძრავ მამულზე და შეტანილი ყადაღის წერილთა კრებულში ქ. სოხუმისა 1919 წ. № 3777-ით მოსპობილია. 797 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივნისის 30-ს 1920 წელს დამტკიცდა, შესრულებული გუდაუთის ნოტარიუსის კოზმავას მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ხარლამპი ნიკიფორეს ძე მელაძეს მიწის ნაჭერი შენობებითურო, მდებარე ქ. გუდაუთში, მდინარე გუდაუს გაღმა, უბ. № 190, № 18-ით, ზომით, 221, 1 ოთხკუთხ. საჟ. 795 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივლისის 2-ს 1920 დამტკიცდა, შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. იაკობ გენრიხის ძე ლუკუამ მიჰყიდა 30000 მან. ქ. სოხუმის მცხოვრ. თადა ნიკოლოზის ძე ძიძიგურს მიწის ნაჭერი შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, ზაბესლეთის ქუჩ., უბ. ლიტ. „Ж“, № 11-ით, ზომით 170, 4 ოთხკუთხ. საჟ. 796 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი ყადაღის წერილებისა 3 ივანობისთვის 1920 წ. ყადაღა ედება ჰარმენ მიხეილის ძე ლორთქიფანიძის უძრავ ქონებას, მდებარე ქ. გუდაუთში, უბ. 188-80, № 3-ით, რომელიც შეხდგება მიწის ნაჭერისაგან, ზომით 348, 75 ოთხკუთხ. საჟ. შენობებითურთ.
722 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ, თანახმათ მისი ყადაღის წერილისა 27 ივანობისთვის 1920 წელსა, ყადაღი ედება გრიგოლ გიორგის ძე ლეიბას უძრავ მამულს, მდებარე ქ. გუდაუთში, უბ. 103, № 6-ით, რომელიც შესდგება მიწის ნაჭერისაგან შენობებით, ზომით 212, 8 ოთხკუთხ. საჟ. 798 1—1

1920 წ. ივლისის 19 სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შესრულებულათ, შედგენილი 22 ივლისს 1917 წ. შინაური ანდერძი გარდაცვალებულის 26 მარტს 1920 წ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძეს დრეიერის, მცხოვრ. ქ. სოხუმისა. 2283 1—1

ჭრებალიის უბნის მომრიგებელი მოსამართლე გარდაცვალებულ მალაქია ლევანის ძე გიორგობიანის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მოხსენებული გიორგობიანის გარდაცვალების შემდეგ დანაშთ ქონებაზედ სამოქ. კრებ. მე-10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 830 1—1

ქალ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ანნა ივანეს ასულის არაქელოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება არაქელოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2291 3—1

ქალ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბახეა ივანეს ასულ დიმიტრი ბეჟანის ძე მელიას მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მელიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2290 3—1

ქ. ტფილისის მე 6-ე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ანასტასია დავითის ასული ბაქრაძის მეხკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთ უფლება ბაქრაძის ქონებაზედ სამ. კან. კრებ. 1 ნაწ. 10 ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
2313 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი